# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №50

20/9 წ. "19" 03

ქ.თბილისი

**ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №151 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები":

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე/საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სარკინიგზო გადაზიდვები (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783 | 90 | 120 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 |
| 2 | ლოკომოტივის მართვა (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783 | 90 | 120 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 |
| 3 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783 | 90 | 120 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 |
| 4 | სავაგონო მეურნეობა (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782 | 90 | 120 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 |
| 5 | რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (2) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782 | 90 | 120 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 |

*(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."*

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 19 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეთხუთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე